თემა 28

რომელი საათია?

Который час

ამოცანები:

- მოსწავლეები ისწავლიან საათის ცნობას.
- ისინი ჯერ ისწავლიან *ზუსტი დროისა* და *ნახევარი საათის* ცნობას.
- მოსწავლეები ისწავლიან საათზე წუთების ცნობას
- გაიმდიდრებენ ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ლექსიკას და ისწავლიან მასთან დაკავშირებულ ზმნიზედების გამოყენებას.ასევე, ჩართულებს: "როგორც წესი", "ჩვეულებისამებრ", "ხოლმე" და სხვა.

გაკვეთილ(ებ)ის მიმდინარეობა:

1. მასწავლებელი იწყებს რიცხვითი სახელების გამეორებით: ამეორებინებს რიცხვებს.
2. ასმენინებს ტექსტს: (1-დან 20-მდე)

ციფრები

გამარჯობა, ლუკა,
გამარჯობა ლიზა
როგორ ხარ?
კარგად
შენ, როგორ ხარ?
მეც კარგად
დამალობანა ვითამაშოთ?
კი, მინდა
შენ დაიხუჭე
მე დავიმალები
კარგი, ვიხუჭები:
ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი - ვიხილები და მოვდივარ

3. მასწავლებელი 11-დან 20-მდე თვლას ახსენებს.

1. მასწავლებელი კითხულობს ტექსტს:

მამა მზადაა სამსახურში წასასვლელად. ის გაკვირვებულია, რომ ბავშვები კი ჯერ კიდევ არ არიან მზად სკოლაში წასასვლელად. ნიკას და ლიზას ჯერ კიდევ სძინავთ. დედა მათ

აჩქარებთ, რომ დროულად წავიდნენ სკოლაში, მაგრამ როგორც ჩანს ისინი დააგვიანებენ გაკვეთილზე. ლიზა და ნიკა გვიან იღვიძებენ და სკოლაში აგვიანებენ. მასწავლებელი ამის გამო სჯის მათ და შედეგად სახლში გვიან ბრუნდებიან.

5. თამაში # 34-1

რომელია მესამე?: შევთავაზოთ ბავშვებს, დაალაგონ ფერადი კუბები მწკრივად ისე, რომ ყოველი მესამე ერთი და იმავე ფერისა (მაგ, წითელი) იყოს. გარდა ამისა, ბავშვებმა უნდა დაალაგონ გეომეტრიული ფიგურებიც (წინასწარ გამოვჭრათ ფერადი მუყაოსგან) ისე, რომ ყოველი მესამე იყოს, მაგალითად, წრე. შეგვიძლია ბავშვებს გავუმახვილოთ ყურადღება იმაზეც, თუ რა ფერია პირველი კუბი, მეორე კუბი და ა.შ.

ლექსიკა:

დრო, საათი, ნახევარი, ყოველდღიურობა, ადგომა, საუზმობა, სკოლაში წასვლა, კბილების გახეხვა, სამსახურში წასვლა. ???-ის 15 წუთია, 15 აკლია, ყოველდღიურობა, ადგომა, საშინაო დავალების გაკეთება, ლანჩი, სადილი, ტელევიზორის ყურება, დასაძინებლად წასვლა/დაძინება.

საკვანძო წინადადებები/გრამატიკა

• 07:15 რვის თხუთმეტი წუთია და სკოლაში გაგვიანდება • რომელ საათზე იძინებ ხოლმე? • როგორც წესი თერთმეტს რომ 15 აკლია 10:45 • უკვე საღამოს ოთხის ნახევარია 3:30 და გაკვეთილები დღეისთვის დამთავრდა • რომელ საათზე იძინებ **ხოლმე**? • დილის 7:00 საათია, სკოლაში დაგაგვიანდება • რომელ საათზე იწყება ხოლმე სკოლაში გაკვეთილები? • უკვე 8:00 საათია • **როგორც წესი** დილით 7:00 საათზე ვსაუზმობ **ხოლმე** • **ჩვეულებისამებრ** დილით 6:00 საათზე ვდგები. • **ჩვეულებისამებრ,** თერთმეტს რომ 15 აკლია 10:45

რესურსი:

საათები სხვადასხვა დროის ჩვენებით (ციფერბლატი და ციფრებითაც)

ნახატები თამაშებისთვის.